



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49230374

თარიღი:06/02/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივადის 2023 წლის 3 თებერვლის N48-482303482 წერილი საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხი არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხი, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-20 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023 წლის 7 თებერვალს 12:00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

ა) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მოძსს. რევაზ დიდავა/

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:

- ა) ბრძანების გამოქვეყნება;
- ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
- გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 11 : 30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

